

გრიგოლ როგავაძის სახელობის უნივერსიტეტი

ნ ე ს ღ ე ბ ა

საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების შესახებ

**თბილისი
2011**

სარჩევი	
პრეამბულა -----	3
თავი I. ზოგადი დებულებები; -----	4
თავი II. უნივერსიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა; -----	7
თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა; -----	8
თავი IV. ადამიანური რესურსი; -----	14
თავი V. სასწავლო-მატერიალური, კვლევითი და ფინანსური რესურსები; -----	25
თავი VI. სწავლა-სწავლება და შეფასება; -----	25
თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; -----	29
თავი VIII. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; -----	33
თავი IX. გარდამავალი დებულებები; -----	35
თავი X. დასკვნითი დებულებები; -----	36

პრეამბულა

კერძო სამართლის იურიდიული პირი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საბაზრო ურთიერთობის სრულყოფილიანი სუბიექტია, რომელიც თავისი არსით საზოგადოებრივ მოთხოვნებზეა ორიენტირებული და ისწრაფვის ევრო-ატლანტიკურ საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში სრული ინტეგრაციისაკენ.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წესდების წინამდებარე ვერსია მე-5 რედაქციაა 2003 წლის 25 ივნისს დამტკიცებული დოკუმენტისა. მას საფუძვლად ედო ევროკავშირის Tempus Tacis-ის პროექტი, რომელიც უნივერსიტეტში განხორციელდა 2001-2003 წლებში და მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო სისტემის სრულ რეფორმირებას.

წესდების მეორე რედაქცია 2006 წლის 8 თებერვალს იქნა დამტკიცებული საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ” მოთხოვნათა გათვალისწინებით.

წესდების შემდგომი რედაქციების (მე-3 და მე-4) მიღების აუცილებლობა განაპირობა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სწრაფი რეფორმირების პროცესში წარმოშობილმა ახალმა ფაქტორებმა.

კერძოდ:

- ა) საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ” გარდამავალი დებულებების ძალაში შესვლა;
- ბ) საქართველოს კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” ცვლილებების შეტანა;
- გ) სახელმწიფო სააკრედიტაციო სტანდარტების მიღება;
- დ) საქართველოს კანონის “უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ” მიღება.

წესდების წინამდებარე მე-5 რედაქციის მიღება განაპირობა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმირების პროცესმა, ავტორიზაციის სისტემის შემოღებამ, ერთიანი აკრედიტაციის პრინციპების განსაზღვრამ და, აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ამასთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავებამ, რომელშიც სისტემატიზირებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები.

წესდების ახალი რედაქცია ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ღიაობა – გულისხმობს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას კონკრეტულ ეტაპზე, კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით;
- ბ) ბალანსი – ითვალისწინებს წესდების მოქმედების არეალში მყოფი სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებას;
- გ) სისტემურობა – წესდების სტრუქტურა სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სფეროების მიხედვით;
- დ) მისაწვდომობა – წესდება ხელმისაწვდომია, როგორც უნივერსიტეტის ყველა სუბიექტისათვის, ისე გარეშე პირთათვის.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

1. ეს წესდება ეყრდნობა კერძო სამართლის იურიდიული პირის – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მისიას, ძირითად ღირებულებებს/პრინციპებს, ადგენს უნივერსიტეტის ზოგად სტრუქტურასა და მართვის სისტემას, აწესრიგებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესს, არეგულირებს უნივერსიტეტის კომპეტენციათა განხორციელების და, ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სუბიექტების ფუნქციონირების ზოგად პირობებსა და წესს.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე.
3. წესდების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის სტრუქტურის ფარგლებში არსებული ყველა სუბიექტისათვის, ხოლო უნივერსიტეტის მიერ, იურიდიული პირის ფორმით, ორგანიზაციების დაფუძნებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, მეწარმე სუბიექტი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“.
3. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.

მუხლი 3. უნივერსიტეტის სიმბოლიკა

1. უნივერსიტეტს აქვს თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი, დამტკიცებული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომლებიც გამოხატავენ უნივერსიტეტის ერთგულებას კლასიკური საუნივერსიტეტო განათლების პრინციპებისადმი.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო დღესასწაული

1. საუნივერსიტეტო დღესასწაულია 28 ოქტომბერი – ქართული მწერლობის კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე.

მუხლი 5. წესდების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1. წესდების ახალი რედაქციის სამართლებრივი საფუძვლებია:
 - ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
 - ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
 - გ) საქართველოს შრომის კოდექსი;
 - დ) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
 - ე) საქართველოს კანონი „უმაღლესი პროფესიული განათლების შესახებ“;

- ვ) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- ზ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ (№ 120/6,2010 წლის 10 დეკემბერი);
- ი) ბოლონიის პროცესის დოკუმენტები;
- კ) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის 2003 წლის 25 ივნისს, 2006 წლის 8 თებერვალს, 2007 წლის 30 ნოემბერს და 2009 წლის 10 სექტემბერს მიღებული წესდებები;
- ლ) უნივერსიტეტის მისია.

მუხლი 6. ტერმინთა განმარტებები

ამ წესდებაში გამოყენებულ ტერმინებს/ფრაზებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

- ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტი;
- ბ) აკადემიური პასუხისმგებლობა-აკადემიური პერსონალის დამატებითი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია აკადემიურ პროცესში მის მონაწილეობასთან;
- გ) აკადემიური სისტემა-აერთიანებს სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროცესის ყველა იმ სუბიექტს, რომლის მიზანია გარკვეული აკადემიური და კვლევითი შედეგის მიღწევა და ყველა იმ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, რომელიც ემსახურება/ხელს უწყობს ამ შედეგის დადგომას;
- დ) დიპლომის დანართი თან ერთვის დიპლომს. თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ის განმარტებითი ბარათია, რომელიც აღწერს სწავლის ხასიათს, დონეს, კონტექსტს, შინაარსსა და სტატუსს – უზრუნველყოფს საერთაშორისო გამჭვირვალობას და კვალიფიკაციის აკადემიურ აღიარებას. დიპლომის დანართის ნიმუში მიღებულია ბოლონიის პროცესის ფარგლებში და შემუშავებულია ევროკომისიის, ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPES–ის მიერ;
- ე) დოქტორის აკადემიური ხარისხი-იგულისხმება როგორც დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო, ისე მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ვ) საკონტაქტო საათი – აკადემიური საათების ფარგლებში, პროფესორისა (მასწავლებლის) და სტუდენტის (სტუდენტების) ერთობლივი სასწავლო მოქმედება, რომელიც აუდიტორულ ან ლაბორატორიულ პირობებში ტარდება;
- ზ) მოსალოდნელი სწავლის შედეგები – აკადემიური პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ის მოცულობა, რომელსაც სტუდენტი უნდა ფლობდეს სწავლის დასრულების შემდეგ;
- თ) სასწავლო ღონისძიებები - სასწავლო მოქმედებები (სწავლა/სწავლებისა და შეფასების ფორმები ან მეთოდები), რომლებიც გამიზნულია დისციპლინის ან პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- ი) სასწავლო-მატერიალური რესურსები – ეს არის:

- ფიზიკური რესურსი – იგულისხმება ყველა ის ინვენტარი და ფართი, მათ შორის დამხმარე, რომელიც ემსახურება სასწავლო/აკადემიური პროცესის წარმართვას;
 - ბიბლიოთეკა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსი – იგულისხმება ქსელური კომპიუტერული აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა წიგნადი და ციფრული ფონდებითა და შესაბამისი სერვისით;
 - ტექნიკურ-ლაბორატორიული რესურსი – იგულისხმება სპეციალური სასწავლო ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სასწავლო ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისა და სწავლისათვის;
- კ) სწავლა-სწავლების პროცესის სუბიექტი იგულისხმება სტუდენტები და პროფესორთა-მასწავლებელთა პერსონალი, რომლებიც ურთიერთმოქმედებით ქმნიან და წარმართავენ შემეცნებით პროცესს;
- ლ) სწავლის შედეგები – იგულისხმება სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონე, სასწავლო კურსის, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. შედეგები ფასდება ნიშნით, რომელიც შეესატყვისება შეფასების კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებელს (ქულას) და, თავის მხრივ, განსაზღვრავს კრედიტის მიღება-არმიღებას;
- მ) ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფა – უნივერსიტეტში სტუდენტის/პერსონალის განვითარებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, სათანადო მატერიალური და ფსიქოემოციური სივრცის უზრუნველყოფა;
- ნ) კომპონენტი – აკადემიური პროგრამის შემადგენელი სეგმენტი (დისციპლინა, საკვალიფიკაციო შრომა, პროფესიული პრაქტიკა. . .), ხოლო შეფასების სისტემის ცალკეული ელემენტის ფარგლებში - შეფასების კონკრეტული მეთოდი (ესე, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია . . .);
- ო) შრომითი ურთიერთობა – შრომითი ურთიერთობა არის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;
- პ) შრომითი ურთიერთობის სუბიექტები – შრომითი ურთიერთობის პროცესში მონაწილე სუბიექტები – დამსაქმებელი (უნივერსიტეტი) და დასაქმებული (უნივერსიტეტის პერსონალი);
- ჟ) ცოდნა – არის შეხედულებებისა და მოვლენების სისტემატიზირებული რიგი გამოხატული კონცეპტუალურ ნიშანთა სისტემით, რომლის აკუმულირებას და გენერაციას ახდენს უნივერსიტეტი.

თავი II. უნივერსიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობა

მუხლი 7. უნივერსიტეტი

1. უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი და საზოგადოებრივი სერვისის ორგანიზაცია, განხორციელებს საუნივერსიტეტო განათლების სამივე საფეხურის პროგრამას, ორგანიზებას უწევს არა მარტო სწავლების პროცესს, არამედ სწავლასა და სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, ახდენს მათ ინტეგრაციას, ეწევა მოსახლეობის მომსახურებას.

მუხლი 8. უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციები

1. უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, განსაზღვრავს მართვის პრინციპებსა და სტრუქტურას; ქმნის აკადემიურ პროგრამებს, ბოლონიის პროცესის რეკომენდაციების შესაბამისად შეიმუშავებს სწავლა/სწავლებისა და შეფასების ერთიან სისტემას; აყალიბებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და აკადემიურ პროცესში მონაწილე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტრატეგიას, უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ განხორციელებას; ქმნის სწავლა/სწავლებისა და კვლევის ჰარმონიზაციისათვის საჭირო პირობებს; უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიურ და კვლევით თავისუფლებას.
2. უნივერსიტეტი განსაზღვრავს ევრო-ატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პოლიტიკას, ატარებს ქმედით ღონისძიებებს ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მათ შორის, განხორციელებს უცხოეთის საგანმანათლებლო ცენტრების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, საგანმანათლებლო პროგრამების დელეგირებული ნაწილის სწავლების ჩათვლით.
3. განხორციელებს აქტივობას საზოგადოების კეთილდღეობის ხელშესაწყობად, პი- 3. როვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.
4. უზრუნველყოფს შიდა და საგარეო შრომის ბაზრისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შეთავაზებას.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

1. უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს დემოკრატიულ-ლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელებაზე.

თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 10. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია: სკოლები, ბიბლიოთეკა, კლინიკები.
2. კვლევითი სტრუქტურული ერთეულებია: კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები, კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც შეიძლება გაერთიანებული იყოს სკოლების შემადგენლობაში.
3. დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაციული აპარატი, რომელშიც შედის ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის.
4. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება ამ წესდებით და ცალკეული ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 11. მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოებისა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა ღიაობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა მართვის პროცესში;
4. არჩევითობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;
5. თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

მუხლი 12. უნივერსიტეტის რექტორი

1. საქართველოს კანონის – „მეწარმეთა შესახებ“ საფუძველზე, შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილება, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით, აქვს საზოგადოების დირექტორს (რექტორს).
2. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების განხორციელება შესაძლებელია როგორც ერთი პარტნიორის, ასევე სხვა პირის მიერ, დირექტორად დანიშვნის შემთხვევაში.

მუხლი 13. რექტორის უფლებამოსილება

1. რექტორი წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივ თუ ოფიციალურ წრეებში.
2. რექტორი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას, განაგებს უნივერსიტეტის მთელ უძრავ-მოდრავ ქონებას, განსაზღვრავს ფინანსურ პოლიტიკას, მათ შორის,

დებს ინდივიდუალურ გარიგებას სტუდენტთან სწავლის საზღაურის განსაზღვრის, ხოლო თანამშრომლებთან – შრომის ანაზღაურების შესახებ.

3. უნივერსიტეტის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებ. ბის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა რგოლის, თანამშრომლისა და სტუდენტისათვის. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 3.1 ამტკიცებს უნივერსიტეტის წესდებას, შეაქვს ცვლილებები/დამატებები (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 3.2 ამტკიცებს უნივერსიტეტის მისიას, მისიის საზოგადოებრივ მოთხოვნებთან/ქვეყნის განვითარების ტენდენციებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ, შეაქვს დამატებები/ცვლილებები. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 3.3 ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 3.4 ამტკიცებს საშტატო ნომენკლატურას (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
4. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს
 - 4.1 ამტკიცებს საერთაშორისო, კვლევითი და პროფესიული განვითარების პროგრამებს. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
5. ქმნის აკადემიურ კომიტეტს, უნივერსიტეტის მართვის პროცესში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მიზნით.
 - 5.1 ქმნის და აუქმებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ დანაყოფებს/ერთეულებს, ამტკიცებს შესაბამის დებულებებს. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
6. ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული დანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, არეგულირებს მათთან შრომით ურთიერთობებს.
7. სტიმულს აძლევს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და თანამშრომელთა ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფას, მათ სოციალურ მხარდაჭერას.
8. ქმნის და აუქმებს დროებით და მუდმივმოქმედ კომისიებს.
9. ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულებს.
10. მართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პოლიტიკას, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების პროცესს.
 - 10.1 სკოლების წარდგინებით ამტკიცებს საატესტაციო/საკვალიფიკაციო ორგანოს დებულებას (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 10.2 ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი, ასევე სხვა პროცედურული საკითხები (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)

11. გასცემს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომს
12. გასცემს დამატებითი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს.
13. გასცემს საპატიო წოდებებისა და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტებს.
14. განსაკუთრებულ შემთხვევაში ან ოპერატიულობის უზრუნველყოფის მიზნით რექტორს შეუძლია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მის რწმუნებას აღემატება, მაგრამ იგი მოვალეა, უმოკლეს დროში, დამფუძნებელთა საბჭოს მოახსენოს საქმის გარემოებისა და თავისი გადაწყვეტილებების შესახებ.
15. მართვის სისტემის ეფექტურობის მიზნით, რექტორს შეუძლია შექმნას კოლეგიალური ორგანოები, სხვადასხვა ფუნქციით.
16. რექტორი სისტემატურ კონსულტაციებს ატარებს უნივერსიტეტში არსებულ საზოადოებრივ ორგანიზაციებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან, რაც არ ნიშნავს ამ ორგანიზაციების მიერ დასმული წინადადებების უცილობლად მიღებას.
17. რექტორი მუდმივად ზრუნავს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, საჭირო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.
 - 17.1 სკოლების წარდგინებით, ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მისაღებ კონტინგენტს სკოლების მიხედვით (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
18. რექტორის სხვა უფლებამოსილებითი საკითხები რეგულირდება ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამ წესდებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

1. რექტორი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ რეალიზაციასა და სასწავლო-კვლევითი გარემოს უზრუნველყოფაზე, უნივერსიტეტის სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 15. რექტორის მოადგილე

1. რექტორის მოადგილე არის ადმინისტრაციული არა არჩევითი თანამდებობა, რომლის ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 65 წლამდე, ხოლო უფლებამოსილების ვადა – შრომითი ხელშეკრულებით.
2. რექტორის მოადგილეების უფლებამოსილებები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 16. აკადემიური კომიტეტი

1. უნივერსიტეტის მართვასა და აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში აკადემიური თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის ამადლების მიზნით იქმნება აკადემიური კომიტეტი.
2. აკადემიური კომიტეტის შემადგენლობა და დებულება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კომიტეტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.
4. აკადემიური კომიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 და მიიღოს გადაწყვეტილება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
5. კომიტეტის სხდომების მოწვევა ხდება არანაკლებ სემესტრში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია რიგგარეშე სხდომების მოწვევა რექტორის გადაწყვეტილებით ან კომიტეტის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით.
6. რექტორის ან ცალკეული წევრის ინიციატივით, უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებისა და საბაზრო მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია შეიმუშაოს და/ან განიხილოს უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები.
7. აკადემიური კომიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსების ჩატარებას, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
8. კონკურსების ჩატარების წესი და ვადები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
9. კომიტეტს უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს/საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული დამსახურებისთვის, მიანიჭოს საპატიო წოდება.

მუხლი 17. სკოლები

1. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უშუალოდ განახორციელებს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით პროცესს, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)

მუხლი 18. სკოლის ძირითადი ფუნქციები

1. სკოლაში იქმნება და ხორციელდება აკადემიური პროგრამები, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს.
2. სკოლა აყალიბებს პროფესორ-მასწავლებელთა საკუთარ კორპუსს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას.
3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლა ქმნის ყველა პირობას სტუდენტთა აკადემიური და პერსონალური განვითარებისათვის.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა

1. სკოლის პირდაპირი პასუხისმგებლობაა სტუდენტთა აკადემიური ცოდნითა და პროფესიული/ზოგადი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, აკადემიური პროგრამების სრულად განხორციელება.

მუხლი 20. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამების კომიტეტები, კვლევითი ცენტრები, კლინიკები, სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ოფისი.

მუხლი 21. სკოლის მმართველი სუბიექტები

1. სკოლის მმართველი სუბიექტებია: დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 22. სკოლის დეკანი

1. დეკანი არის სკოლის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული თანამდებობის პირი

მუხლი 23. დეკანის დანიშვნა

1. დეკანს ნიშნავს რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, 4 წლის ვადით, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე ან მის გარეშე.
2. დეკანის თანამდებობაზე დასანიშნად დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება დაკავებული აკადემიური თანამდებობის ნიშნით.
3. დეკანის ასაკის ზედა ზღვარი განსაზღვრულია 65 წლამდე.

მუხლი 24. დეკანის უფლებამოსილება

დეკანი:

1. მოქმედებს სკოლის სახელით. უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების პროცესს.
2. შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურას, დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
3. ორგანიზაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტების შემადგენლობის შერჩევას, მათ შორის, მოდულის ხელმძღვანელების და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
4. სკოლის ხარისხის კომიტეტს განსახილველად წარუდგენს აკადემიურ პროგრამებს და კვლევით მიმართულებებს.
5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს.

6. აღძრავს შუამდგომლობას რექტორის წინაშე ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნის, საშტატო ერთეულების დამატების ან გაუქმების, მატერიალური რესურსის შევსების, ან ჩამოწერის შესახებ. პასუხს აგებს სკოლის უძრავ-მოძრავი ქონების ხარისხის შენარჩუნებაზე.
7. უშუალოდ მონაწილეობს კვალიფიციური კადრების შერჩევისა და მოზიდვის პროცესში. ამ მიზნით შეიმუშავებს და განახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს.
8. შეარჩევს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს.
9. დეკანი შეიძლება იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოლეგიალური ორგანოს ხელმძღვანელიც.
10. იმ შემთხვევაში თუ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არ არის დეკანი, მას შეიძლება შეეთავსოს აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელობა, როგორც დამატებითი აკადემიური ფუნქცია.
11. დეკანი ყოველ მხრივ უწყობს ხელს სტუდენტის აკადემიურ პროგრესსა და პიროვნულ განვითარებას.
12. ზრუნავს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალურ მხარდაჭერისთვის.
13. თვალყურს ადევნებს სტუდენტთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიუალურ აუდიენციებს სტუდენტებთან.
14. სტუდენტთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც წესი, დეკანი სტუდენტის სასარგებლოდ წყვეტს, თუ ეს აღმზრდელობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია და არ ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო პოლიტიკას.
15. ხელს უწყობს რა სწავლისა და სწავლების ერთიან პროცესად განვითარებას, დეკანი ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პროფესიული განვითარებისათვის, აგრეთვე, სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლისა და გუნდური მუშაობისათვის.
16. სტუდენტთა და თანამშრომელთა აქტივობის ამაღლების მიზნით, შეიმუშავებს მათი წახალისებისა და სტიმულირების ფორმებს.
17. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში დეკანი საკითხს აყენებს რექტორის წინაშე.
18. დეკანს შეუძლია ექსტრემალურ პირობებში მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მის რწმუნებებს აღემატება, მაგრამ, ამავედროულად, იგი მოვალეა ოპერატიულად-მოახსენოს პირადად რექტორს საქმის ვითარების შესახებ, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს ამ უკანასკნელის არასამუშაო დროით სარგებლობა.

მუხლი 25. პასუხისმგებლობა

1. დეკანი, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო-კვლევითი პოლიტიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების, აკადემიური პროგრამების სრულ განხორციელებასა, და მთლიანობაში, მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 26. დეკანის თანამდებობიდან ვადამდე ბანთავისუფლების საფუძვლები

1. პირადი სურვილი;
2. სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
3. გარდაცვალება;
4. სასამართლოს მიერ ქმედუენაროდ და შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
5. 65 წლის ასაკის მიღწევა;
6. უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა;
7. სტუდენტთა მიერ დეკანის, ან სკოლის საქმიანობის არგუმენტირებული უარყოფითი შეფასება;
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 27. სადისერტაციო საბჭო

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან (რექტორის ბრძანება 14.11.2013; №01-05/053).
 - 3.1 საუნივერსიტეტო საბჭოში, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, შესაძლებელია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირის მოწვევა (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო მოქმედებს და დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს რექტორის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

თავი IV. ადამიანური რესურსი

მუხლი 28. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არის ადმინისტრაციული, აკადემიური, მასწავლებელთა, დამხმარე და დამხმარე სასწავლო თანამდებობები.
2. უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს განეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. დამხმარე თანამდებობებია ადმინისტრაციულ აპარატში შემავალი თანამდებობები: სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი და სხვა თანამდებობები, რომელიც განისაზღვრება საშტატო ნომენკლატურით.
4. დამხმარე სასწავლო თანამდებობებია: ლაბორანტი, კაბინეტის/ლაბორატორიის ხელმძღვანელი და სხვა თანამდებობები, რომელიც განისაზღვრება საშტატო ნომენკლატურით.

მუხლი 29. აკადემიური პერსონალი

1. “აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის აკადემიური იერარქიის ძირითადი რგოლია, რომელიც აერთიანებს პროფესორებს – პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტები.” (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
2. აკადემიური თანამდებობა გულისხმობს პირის აკადემიური და მეცნიერული მიღწევების აღიარებას და გამორჩეულ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი ამოცანების განხორციელების საქმეში.

მუხლი 30. ფორმალური მოთხოვნები

1. პროფესორი – შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამეცნიერო და უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება აქვს. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
2. ასოცირებული პროფესორი - შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
3. ასისტენტ-პროფესორი – შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 3 წლის ვადით. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
3.1 ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 წლის ვადით. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
4. პროფესორის, ასოცირებულის, ასისტენტ-პროფესორების და ასისტენტების აკადემიური თანამდებობების დაკავება, ღია კონკურსის წესით, შესაძლებელია, ასევე, პროფესიული ნიშნით, კვალიფიციური პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)

5. პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევად კანდიდატებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები/კრიტერიუმები: (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
 - 5.1 პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში/სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ცენტრში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. ხოლო ასოცირებულ პროფესორად პროფესიული სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ცენტრში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ორივე შემთხვევაში მათი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სპეციალური მომზადებით და/ან პუბლიკაციებით.
 - 5.2 ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში/სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და მისი კვალიფიკაცია დასტურდება სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.
 - 5.3 ასისტენტად შეიძლება არჩეული იქნას დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში/სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. (რექტორის ბრძანება 14.11.2013 №01-05/053)
6. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ასორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს სასწავლო პროცესის ფარგლებში.
7. პროფესორთა შემადგენლობაში შესაძლებელია იყოს პირი, სტიპენდიანტი პროფესორის სტატუსით, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს უნივერსიტეტის, საერთაშორისო ან სხვა საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტები.
8. უნივერსიტეტში სტიპენდიანტი პროფესორის მუშაობის ვადა არ უნდა იყოს სამთვეზე ნაკლები.
9. კონკრეტული საგანმანათლებლო ან კვლევითი პროგრამის განხორციელებისთვის შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი "მოწვეული პროფესორის" სტატუსით, მაგრამ იგი არ ჩაითვლება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში.
10. სამუშაო პერიოდის ამოწურვის შემდეგ მოწვეული პროფესორისა და სტიპენდიანტი პროფესორის სტატუსი ძალადაკარგულად ითვლება, მაგრამ შესაძლებელია განხილულ იქნას მათი საპატიო პროფესორად არჩევის საკითხი.
11. პროფესორთა შემადგენლობაში შეიძლება აირჩიეს უცხოელი მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები პირი, დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხით, "სტუმარი პროფესორის" სტატუსით. ეს სტატუსი აქტიურდება უნივერსიტეტში ვიზიტის ან ადგილზე კვლევითი საუნივერსიტეტო პროექტის განხორციელების, დოქტორანტის ან მაგისტრანტის ნაშრომის რეცენზირების/შეფასების დროს.

მუხლი 31. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

1. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტისა და სკოლების მართვაში.
2. უნივერსიტეტის მიერ ფორმირებული საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.
3. ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს სასწავლო და კვლევითი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
4. ადმინისტრაციისგან მოითხოვოს შემოქმედებითი შვებულება, მაგრამ არა უმეტეს ხუთ წელიწადში ერთხელ.
5. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროგრამებსა და სხვა სახის პროექტებში როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის გარეთ.
6. პროფესორებს გარანტირებული აქვთ შეუვალობა სასაწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელებაში.

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

7. დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
8. შეასრულოს უნივერსიტეტისა და სკოლების მმართველი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
9. დაიცვას პედაგოგიური და კოლეგიალური ეთიკის ნორმები.
10. იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და მეცნიერულ ზრდაზე.
11. სასწავლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები.
12. იზრუნოს კვლევის განსაკუთრებული უნარის მქონე სტუდენტთა გამოვლენისა და მათში ამ უნარის გადრმავებისათვის.
13. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.
14. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა და სხვა უფლება-მოსილებითი საკითხები განისაზღვრება ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 32. პასუხისმგებლობა

1. პროფესორები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სრულად არიან პასუხისმგებელი კონკრეტულ სასწავლო და კვლევითი პროგრამების განხორციელების ხარისხზე.

მუხლი 33. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის პირი აირჩევა კონკურსის წესით, გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
2. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესდებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა ხუთი წლით, ამასთან შეუძლია, შეუღლებების გარეშე, მონაწილეობა მიიღოს კონკურსებში იმავე ან უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, მაგრამ არა უმეტეს 75 წლამდე.
4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პროცედურა განისაზღვრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, აკადემიური კომიტეტის წარდგენით, აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალს ნიშნავს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. ავტორიზაციის მიზნებისათვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ამ უნივერსიტეტს, ხოლო ასოცირებული პროფესორი მხოლოდ ამ უნივერსიტეტს და კიდევ ერთ დაწესებულებას, პროფესორის არჩევით. უცხოეთის სასწავლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე, გარდა სრული პროფესორისა.
7. სხვა სამუშაოზე, მათ შორის, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში, აკადემიური თანამდებობის პირს პროფესორის სტატუსი არ უნარჩუნდება.

მუხლი 34. საპატიო თანამდებობები და წოდებები

საპატიო აკადემიური წოდებები და თანამდებობებია:

- ა) ემერიტუსი;
- ბ) საპატიო დოქტორი;
- გ) საპატიო პროფესორი.

მუხლი 35. ემერიტუსი

1. ემერიტუსის წოდება, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, შეიძლება მიენიჭოს სრულ პროფესორს, 65 წლის შემდეგ, თუ იგი არ არის არჩეული აკადემიურ თანამდებობაზე.
2. ემერიტუსს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო

ბლო და კვლევით საქმიანობაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

3. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება უვადოდ.

მუხლი 36. საპატიო დოქტორი

1. საპატიო დოქტორის წოდება, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით და რექტორის თანხმობით, ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისათვის.
2. საპატიო დოქტორმა, ამ წოდების მინიჭებამდე ან მას შემდეგ, უნივერსიტეტში უნდა წაიკითხოს არანაკლებ ერთი საჯარო ლექცია, საკუთარი მიღწევებისა და დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემატიკის შესახებ.
3. საპატიო დოქტორს, უნივერსიტეტში, არ ეკისრება არავითარი აკადემიური პასუხისმგებლობა.

მუხლი 37. საპატიო პროფესორი

1. საპატიო პროფესორად აირჩევა პირი, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით და რექტორის თანხმობით, მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
2. საპატიო პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე.
3. საპატიო პროფესორად არჩევისათვის არა აქვს მნიშვნელობა პირის აკადემიურ ხარისხს.
4. საპატიო პროფესორს, უნივერსიტეტში არ ეკისრება არავითარი აკადემიური პასუხისმგებლობა.
5. საპატიო პროფესორმა გადაწყვეტილების მიღებამდე ან მას შემდეგ უნივერსიტეტში უნდა წაიკითხოს ლექციათა ციკლი ან ერთი საჯარო ლექცია.

მუხლი 38. მასწავლებელთა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მასწავლებელთა პერსონალი, რომელიც აერთიანებს მასწავლებლებს და უფროს მასწავლებლებს.
2. მასწავლებელთა პერსონალი აკადემიური პერსონალის ნომენკლატურას არ განეკუთვნება, მაგრამ ფუნქციურად აკადემიური პროცესის ერთ-ერთი სუბიექტია-უშუალოდ მონაწილეობს სწავლა-სწავლების პროცესში.

მუხლი 39. მასწავლებელი

1. მასწავლებლის თანამდებობა გულისხმობს პირის პროფესიული მიღწევების აღიარებას და შესაბამის პასუხისმგებლობას დაკისრებული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 40. უფროსი მასწავლებელი

1. უფროსი მასწავლებლის თანამდებობა გულისხმობს პირის პროფესიული გამოცდილებისა და მიღწევების აღიარებას, შესაბამისი პასუხისმგებლობით, საგანმანათლებლო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მუხლი 41. უორმალური მოთხოვნები

1. მასწავლებელი – შეიძლება იყოს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
2. უფროსი მასწავლებელი – შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ ორი წლის პედაგოგიური გამოცდილება.
3. უფროსი მასწავლებელი – შეიძლება იყოს დოქტორანტი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის პედაგოგიური გამოცდილება.

მუხლი 42. მასწავლებელთა პერსონალის უფლებები და მოვალეობები

მასწავლებელთა პერსონალს უფლება აქვს:

1. გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებს პროფესორთან კოორდინაციით, ჩაატაროს ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები.
2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად შეაფასოს სტუდენტის სწავლის შედეგები.
3. ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
4. მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარებისა და სხვა სახის პროგრამებში, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის გარეთ.
5. საკუთარი სურვილით ჩაერთოს კვლევით მუშაობაში.
6. იყოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის ასისტენტი.
7. მასწავლებელთა პერსონალის საათობრივი დატვირთვა და სხვა უფლებამოსილებითი საკითხები განისაზღვრება სამართლებრივი აქტით.

8. მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ბ) შეასრულოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველობითი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- გ) დაიცვას პედაგოგიური და კოლეგიალური ეთიკის ნორმები;
- დ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;
- ე) სასწავლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები;
- ვ) საკუთარი კომპეტენცია განახორციელოს პროფესორთან მჭიდრო ინტეგრაციისა და კონსულტაციის პირობებში;
- ზ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებში, იზრუნოს ნიჭიერ სტუდენტთა გამოვლენისათვის;
- თ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.

მუხლი 43. პასუხისმგებლობა

1. მასწავლებლები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სრულად არიან პასუხისმგებელი ჩატარებული მეცადინეობის ხარისხზე.

მუხლი 44. მასწავლებლის თანამდებობის დაკავების წესი

- 1. მასწავლებლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი რექტორის სამართლებრივი აქტით, როგორც საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, ისე მის გარეშე.
- 2. მასწავლებლის თანამდებობაზე პირი ინიშნება არა უმეტეს 75 წლის ასაკამდე, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.
- 3. მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშნულ პირს, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, არ ეკრძალება სხვა სასწავლო დაწესებულებაში მუშაობა, ისე როგორც სხვა, მათ შორის, უცხოეთის სასწავლო დაწესებულების მასწავლებელი შეიძლება დაინიშნოს უნივერსიტეტის მასწავლებლად.
- 4. მასწავლებელს შეუძლია ადმინისტრაციას წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები და მოითხოვოს უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დაკავება.

მუხლი 45. სასწავლო დამხმარე და დამხმარე პერსონალი

- 1. უნივერსიტეტში არის სასწავლო დამხმარე პერსონალი – უფროსი ლაბორანტი, ფაკულტეტის სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ოფისის მენეჯერი და სხვა თანამდებობები, რომელიც განისაზღვრება საშტატო ნომენკლატურით.
- 2. სასწავლო დამხმარე პერსონალის მიზანია ხელი შეუწყოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურად წარმართვას.
- 3. სასწავლო დამხმარე პერსონალს, რექტორის სამართლებრივი აქტით, შეიძლება დაევალოს მატერიალური პასუხისმგებლობა კონკრეტულ უბანზე.
- 4. სასწავლო დამხმარე თანამდებობაზე პირს ნიშნავს რექტორი, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

5. ადმინისტრაციულ აპარატში შემავალი პერსონალი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს, მთლიანობაში, უნივერსიტეტის მართვის მაღალ ეფექტიანობას, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების მაღალი ხარისხის მიღწევას, სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას.
6. ადმინისტრაციული აპარატის პერსონალის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო ნომენკლატურით, ხოლო ფუნქციური დატვირთვა რეგულირდება ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 46. შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა, თანამშრომლებთან აიგება შემდეგი პრინციპებით:
 - ა) თანასწორუფლებიანობა;
 - ბ) ნების თავისუფალი გამოვლენა;
 - გ) ურთიერთპატივისცემა და მხარდაჭერა;
 - დ) კეთილსინდისიერება.
2. შრომითი ურთიერთობა, მათ შორის, აკადემიურ პერსონალთან, რეგულირდება გენერალური შრომითი ხელშეკრულებით, ხოლო მისი განუყოფელი ნაწილი, შემადგენელი ხელშეკრულება იღება არა უმეტეს ერთი სასწავლო წლით, ხოლო მისი ხელმოწერლობა, ერთ-ერთი შრომითი ურთიერთობის სუბიექტის მხრიდან, განიხილება როგორც საფუძველი მთელი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

მუხლი 47. შრომითი ურთიერთობის დაწყება და შეწყვეტა

1. შრომითი ურთიერთობის ათვლა იწყება პირის დანიშნის დღიდან კონკრეტულ თანამდებობაზე.
2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალისათვის შეიძლება გახდეს:
 - ა) შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
 - ბ) დისციპლინარული გადაცდომა, რომლის სახეები განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით;
 - გ) სტუდენტთა მხრიდან არგუმენტირებული, დადასტურებული მოთხოვნა პირთან აკადემიური ურთიერთობის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ;
 - დ) სტუდენტების მხრიდან აკადემიური და მასწავლებელთა თანამდებობის პირის უარყოფითად შეფასება.
3. სხვა პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინარული გადაცდომა, რომლის სახეები დგინდება შრომის შინაგანაწესით.

მუხლი 48. თანამდებობების შეთავსება

1. უნივერსიტეტის მასშტაბებიდან გამომდინარე, მართვის ოპტიმიზაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ერთ თანამშრომელს შეეთავსოს ორი ან რამდენიმე არა ადმინისტრაციული თანამდებობა ან დაევალოს ორი ან რამდენიმე სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელობა ან სხვა საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება.

2. ერთი პირი შეიძლება იყოს არა უმეტეს სამი კოლეგიალური ორგანოს წევრი.
3. თანამდებობების შეთავსება-შეუთავსებლობა განისაზღვრება კონკრეტული დებულებებით ან სხვა სამართლებრივი აქტებით.
4. უნივერსიტეტი თანამშრომლებთან შრომით ურთიერთობას აგებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" და სხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით.
5. უნივერსიტეტის თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შრომის შინაგანაწესით, ამ წესდებით, ცალკეული სამართლებრივი აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 49. სტუდენტობა

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი, რომელიც უნივერსიტეტთან ერთად, თანაზომიერად აგებს პასუხს არჩეული აკადემიური პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების ხარისხზე.
2. უნივერსიტეტში, პირველ საგანმანათლებლო საფეხურზე, ჩაირიცხებიან პირები საშუალო განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით.
3. უცხოელი მოქალაქეების ჩაირიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. სამაგისტრო პროგრამებზე ჩაირიცხებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგებით.
5. სადოქტორო პროგრამებზე ჩაირიცხებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, კანონმდებლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.
6. უნივერსიტეტში მიიღებიან პირები განურჩევლად ეროვნების, რასის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსისა.
7. სტუდენტის სტატუსის აღიარების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები, საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" ფარგლებში, დგინდება ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 50. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

2. მონაწილეობა მიიღოს მართვის ორგანოების არჩევნებში.
3. აირჩიოს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცალკეული აკადემიური კურსები და დამატებითი პროგრამა (გარდა რეგულირებად-პროფესიებისა).
4. დასვას საკითხი ახალი კურსების შემუშავებასა და დანერგვაზე.
5. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში.
6. მონაწილეობა მიიღოს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებასა და რეიტინგის დადგენაში.
7. სათანადო ეტიკეტის დაცვით, არგუმენტირებულად დასვას საკითხი ცალკეული პროფესორისა თუ მასწავლებლის შეცვლის შესახებ.
8. გამოავლინოს ინიციატივა და ორგანიზაცია გაუწიოს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და აქციებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პოლიტიკას და ამ წესდებას.
9. მეორე აკადემიური წლიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისე როგორც სხვა დაწესებულების სტუდენტს შეუძლია გადმოსვლა შესაბამისი კრედიტების ცნობის საფუძველზე, ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში.
10. უნივერსიტეტის ფარგლებში, ნებისმიერ აკადემიურ წელს შეიცვალოს სპეციალობა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
11. აიღოს აკადემიური შვებულება არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ხოლო სრული საგანმანათლებლო ციკლის მანძილზე არა უმეტეს ორჯერ. განსაკუთრებულ შემთხვევებს ადმინისტრაცია განიხილვს ინდივიდუალურად და მიიღებს ცალკე გადაწყვეტილებას.

მუხლი 51. სტუდენტის პასუხისმგებლობა

სტუდენტი ვალდებულია:

1. შეასრულოს მის მიერ არჩეული აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, პატივი სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს, გაუფრთხილდეს მის ქონებას.
3. დაესწროს ყველა მეცადინეობას, აქტიურად შეასრულოს აკადემიური პროგრამით დადგენილი სამუშაო.
4. ისწრაფოს სტუდენტურ კოლექტივში ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შესაქმნელად.

მუხლი 52. სტუდენტის მხარდაჭერა

1. სტუდენტის მიერ გამოვლენილი ინიციატივები და დასმული წინადადებები უნივერსიტეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია – სწავლობს და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
2. აკადემიური პროგრესის მიღწევისათვის დახმარების მიზნით უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობის საათებს.
3. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის სოციალური მხარდაჭერისა და აკადემიური პროგრესის, ზოგადად, მისი განვითარების სტიმულირების პროგრამებს.
4. უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის უნივერსიტეტი ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას სტუდენტურ საზოგადოებაში, მისცემს საშუალებას მიიღონ სრულფასოვანი განათლება.
5. უნივერსიტეტი წახალისებს პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტთა ჩართვისათვის საკუთარი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.
6. სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას ხელს უწყობს სტუდენტური სერვისის სამსახური, რომლის კომპეტენცია რეგულირდება ცალკე დებულებით.

მუხლი 53. სამართლებრივი ურთიერთობა სტუდენტებთან

1. სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება გენერალური ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობის სრულ ამოწურვამდე, ხოლო მისი განუყოფელი ნაწილი, შემადგენელი ხელშეკრულება – მიიღება ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით. მისი ხელმოწერლობა, სტუდენტის მხრიდან, განიხილება როგორც საფუძველი, პირადი სურვილით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის.
2. ყოველი დისციპლინური გადაცდომა ამ წესდებით, აგრეთვე, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმებიდან, იწვევს, ადმინისტრაციის მხრიდან, სტუდენტის მიმართ, დისციპლინური ზომების გატარებას, ფინანსური სანქციებისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ჩათვლით.
3. დისციპლინური გადაცდომის სახეები და, შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებები, პროცედურის ჩათვლით, დგინდება უნივერსიტეტის ცალკე სამართლებრივი აქტით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.
4. ყოველი ადმინისტრაციული ღონისძიება ტარდება კანონმდებლობის შესაბამისად და უნივერსიტეტის ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პროცედურის სრული დაცვით.
5. დისციპლინური ღონისძიებების გატარების პროცედურის ან შედეგების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა უკავშირდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.
- სტუდენტს სტატუსი უწყდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესით დადგენილ შემთხვევებში.

თავი V. სასწავლო-მატერიალური, კვლევითი და ფინანსური რესურსები

მუხლი 54. სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსი

- უნივერსიტეტის ზრუნვის საგანია სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარება.
- სასწავლო-მატერიალური კვლევითი რესურსები ყალიბდება როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი მიზნების, ისე სტუდენტის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს განახორციელოს არა მარტო სწავლებისა და კვლევის, არამედ სწავლის ორგანიზაციის ფუნქცია.
- უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარებისათვის, ყოველწლიურად, გამოიყოფა ფინანსური სახსრები პრიორიტეტების გათვალისწინებით.

მუხლი 55. ფინანსური რესურსი

- უნივერსიტეტის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი.
- ფინანსური რესურსის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საზღაური, აგრეთვე, მეცნიერული კვლევების შედეგებით მიღებული შემოსავლები და სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობით მიღებული თანხები. ამასთან, უნივერსიტეტი მოიზიდავს დამატებით სახსრებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VI. სწავლა-სწავლება და შეფასება

მუხლი 56. სწავლა და სწავლება

- სწავლა და სწავლება განიხილება ერთიან აკადემიურ პროცესად, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ განხორციელებული სწავლისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სწავლების პროცესს.
- სწავლა-სწავლების პროცესის მთავარი დერძია აკადემიური პროგრამა, რომლის 2. მართვა, ძირითადად, ხორციელდება კრედიტებისა და შეფასების სისტემით.

მუხლი 57. კრედიტების დაბროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა ECTS

1. სწავლისა და სწავლების პროცესის მართვა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას – ECTS, რომელიც, არსებითად, განსაზღვრავს სტუდენტის სემესტრულ/წლიურ სასწავლო დატვირთვას და სრულ ინფორმაციას იძლევა სტუდენტის პროფესიულ კვალიფიკაციასა და მინიჭებული ხარისხის იდენტიფიკაციაზე.
2. უნივერსიტეტში სტუდენტის წლიური დატვირთვა 60 კრედიტს ანუ 1500 საათს შეადგენს, სადაც, ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათს უდრის და მოიცავს როგორც-საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი სწავლის დროს.
3. კრედიტის მიღება შესაძლებელია კონკრეტული დისციპლინის სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისა და შესაბამისი შეფასების შემდეგ.

მუხლი 58. საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა წარმოადგენს საგანმანათლებლო პარამეტრების, კომპონენტებისა და სასწავლო დონისძიებათა სერიის პაკეტს, რომელიც საკვალიფიკაციო შედეგზეა ორიენტირებული.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტია სასწავლო კურსი/დისციპლინა. ის შეიძლება განისაზღვროს როგორც მიკრო სასწავლო პროგრამა, რომლის საინფორმაციო-შემეცნებითი რესურსი სისტემატიზირებულია ერთი ან რამდენიმე საგნის ბაზაზე და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამით (მაკრო პროგრამა) დასახული მიზნების განხორციელებისათვის.
3. საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება გააჩნდეს პროგრამის სპეციფიკაცია, რომელიც წარმოადგენს პროგრამის კომპაქტურ ვერსიას. მისი მიზანია ნათელი წარმოდგენა შეუქმნას ყველა დაინტერესებულ პირს პროგრამის მთლიან სტრუქტურასა და შინაარსზე.
4. პროგრამები ყალიბდება ყოველი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით.
5. პროგრამა ღია და მოქნილი სისტემაა, რომელმაც შეიძლება გაითვალისწინოს სავალდებულო დისციპლინების მინიმუმი და არჩევით კურსები როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალიზაციის მოდულებიდან.
6. პროგრამები ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას და, საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, ინტეგრირებულია ზოგადი პარამეტრებით.
7. აკადემიური პროგრამა იყოფა სასწავლო წლების/სემესტრების მიხედვით, თითოეულს თავისი ღირებულებითი (ხვედრითი) პროცენტული წილი აქვს პროგრამის სტრუქტურაში და განისაზღვრება კონკრეტული წილობრივი მაჩვენებლით. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
8. წილობრივი მაჩვენებელი ფუნქციურ როლს ასრულებს ყოველი დონისა და პროგრამის საბოლოო შეფასებაში.

9. აკადემიური პროგრამის ყოველ სასწავლო წელს/სემესტრში ფასდება სტუდენტის სწავლის შედეგები. დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტით - დიპლომით, დანართთან ერთად. ეს უკანასკნელი, ევროკომისიის, ევროპის საბჭოსა და unesco/cepes მოთხოვნათა შესაბამისად, სრულ ინფორმაციას შეიცავს მფლობელის მიერ განხორციელებული სწავლის ხარისხის, დონის, კონტექსტის, შინაარსისა და სტატუსის შესახებ და უზრუნველყოფს საერთაშორისო გამჭვირვალობას და აღიარებას. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
10. ზოგადპროგრამულ სტანდარტებს განსაზღვრავს დებულება საგანმანათლებლო/აკადემიური პროგრამის შესახებ.

მუხლი 59. ბაკალავრის საბანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. ბაკალავრიატის, როგორც საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხურის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიული მომზადება და სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმად ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამების განხორციელების გზით აუცილებელია მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად ან პრაქტიკული მუშაობის დასაწყებად.
2. პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტულ საგანმანათლებლო ციკლს.

მუხლი 60. სამაგისტრო საბანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. მაგისტრატურა საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურის პროგრამაა, რომელიც შეიცავს კვლევის ელემენტებს. მისი მიზანია სტუდენტთა მომზადება სამეცნიეროკვლევითი და პედაგოგიური მუშაობისთვის. ის ითვალისწინებს, აგრეთვე, პირის კვალიფიკაციის ამაღლებას ან შეცვლას.
2. პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტულ საგანმანათლებლო ციკლს.

მუხლი 61. დოქტორის საბანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. დოქტორანტურა საუნივერსიტეტო განათლების მესამე საფეხურის პროგრამაა და მიზნად ისახავს კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას.
2. სადოქტორო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთობლობაა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

მუხლი 62. დიპლომირებული სტომატოლოგის საბანმანათლებლო/აკადემიური პროგრამა

1. დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება უმაღლესი აკადემიური სამედიცინო განათლების პირველ საფეხურს და მიზნად ისახავს მედიცინის დარგის სპეციალისტთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის, კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, და შემდგომ სამედიცინო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;

2. უნივერსიტეტი ანხორციელებს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიურ პროგრამას, რომელიც გულისხმობს არანაკლებ 300 კრედიტის დაგროვებას.

მუხლი 63. რეზიდენტურის პროგრამა

1. რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლა შესაძლებელია დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის, ხოლო რეზიდენტურის პროგრამის დასრულება, შესაბამისი შედეგებით, იძლევა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.
2. რეზიდენტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 64. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით და დიპლომის გაცემით.

მუხლი 65. მოკლე ციკლის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში, მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალი-ფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

მუხლი 66. სწავლის შედეგების შეფასება

1. უნივერსიტეტი შეფასებას განიხილავს, როგორც სწავლის შედეგების ხარისხის იდენტიფიცირებისა და მართვის სისტემას. ის არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის იდენტიფიცირების მომენტს, არამედ, მოიცავს მომზადების პროცესს ამ მომენტისათვის და განსაზღვრავს ახალი პედაგოგიური ამოცანის ფორმირებისა და სწავლების სტრატეგიის კორექციის პერსპექტივას, ხოლო სტუდენტისათვის – ახალი შემეცნებითი ტაქტიკის გამომუშავების საფუძველს.

მუხლი 67. შეფასების მიზანი

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით.

მუხლი 68. შეფასების ძირითადი პრინციპები

1. გამჭვირვალობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სტუდენტმა წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნა-ჩვევების ამა თუ იმ პარამეტრს.

2. სისტემატურობის პრინციპი – შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლა-სწავლების ერთიანი მოტივაციური სისტემას ელემენტია – სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებს – განახორციელონ მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე.
3. სამართლიანობის პრინციპი – მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად.
4. ოპტიმალურობის პრინციპი – გულისხმობს შეფასების მეთოდების შერჩევას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ, მაქსიმალურად მცირე დროში; მეორე მხრივ, შეფასების სიხშირე უნდა განისაზღვროს მოდულის სპეციფიკისა და ჯგუფის თავისებურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ შემოწმების მაღალმა ინტენსივობამ პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტებში არ გამოიწვიოს ნევროზული მდგომარეობა და, შესაბამისად, შემეცნებითი აქტივობის დაქვეითება, ხოლო დანარჩენებში ინდიფერენტულობის ჩამოყალიბება.
5. დიფერენცირების პრინციპი – შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს აკადემიური პროგრამის დონისა და თითოეულ დონეზე დასახული შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინებით.
6. სანდოობის პრინციპი – შეფასება სტანდარტული კრიტერიუმების ფარგლებში უნდა განხორციელდეს და რეალურად ასახოს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონე.

მუხლი 69. შეფასების სტრუქტურა

1. შეფასების სტრუქტურა, დისციპლინის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა – შუალედური და დასკვნითი. თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს. ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომელსაც, აგრეთვე, თავისი პროცენტული წილი აქვს ელემენტის ფარგლებში.
2. ყოველი დისციპლინის კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით.
3. შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა. კონკრეტული დისციპლინის სილაბუსით, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება.
4. შეფასების მინიმალურ ქულად ითვლება 51 ანუ სწავლის შედეგების საერთო მოცულობის 51 პროცენტი.
5. შეფასების გაანგარიშების ალგორითმი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

თავი VII. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

მუხლი 70. ხარისხის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას.
2. ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტში ყალიბდება ერთიანი სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტისა და აკადემიური სტანდარტების და ხარისხის მართვის ცენტრის სახით.

მუხლი 71. ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი

1. ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტს (შემდგომში კომიტეტი), რომელიც შედგება დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებისაგან, ამტკიცებს რექტორი სამართლებრივი აქტით.
2. კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელსაც ამტკიცებს რექტორი.
3. კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ისე გარე სპეციალისტები და სტუდენტები.
4. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით.
5. კომიტეტის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.
6. კომიტეტის წევრებს შორის ფუნქციები ნაწილდება სხდომაზე.
7. კომიტეტს შეუძლია ერთჯერადად მოიწვიოს ექსპერტები, დამსაქმებლები და კვლევითი პროდუქციის პოტენციური დამკვეთები კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.
8. კომიტეტის სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში – მეტჯერ.
9. კომიტეტი განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს. შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას და მიღებული გადაწყვეტილებების პროექტებს წარუდგენს რექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად.

მუხლი 72. აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის მართვის ცენტრი

1. აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის მართვის ცენტრი (შემდგომში ცენტრი) თავის მუშაობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს:
 - ა) პერსონალის პროფესიული (აკადემიური და სამეცნიერო) განვითარების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება;
 - ბ) სწავლისა და სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
 - გ) სტუდენტთა მიღწევებისა მხარდაჭერის მონიტორინგი და შეფასება;

დ) მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად, თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება.

2. ცენტრს ჰყავს ექსპერტები, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი. მათი ანაზღაურების საკითხი წყდება ხელშეკრულებით ან რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 73. დირექტორი

1. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტისა და რექტორის წინაშე.
2. ცენტრის დირექტორს ნიშნავს რექტორი.
3. ცენტრის დირექტორი შეიძლება იყოს პირი, როგორც დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხით, ისე მის გარეშე.
4. დირექტორს შეიძლება შეეთავსოს ჩთშ კოორდინატორის ფუნქცია.
5. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 74. ცენტრის უფლებამოსილება

1. ეფუძნება რა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკას, ცენტრი ადგენს აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს.
2. შეიმუშავებს აკადემიურ სტანდარტებს, მათ შორის, სტუდენტთა შეფასების ზოგადკრიტერიუმებს.
3. ქმნის შესაბამის მეთოდურ-სარეკომენდაციო დოკუმენტებს.
4. შეისწავლის სწავლისა და სწავლების ინოვაციურ ტექნოლოგიებს, განახორციელებს ღონისძიებებს პრაქტიკაში დანერგვისათვის.
5. ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო მუშაობის შეფასებას:
 - ა) ატარებს აკადემიური პროგრამებისა და დისციპლინების შეფასებას, გამოიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გადამუშავების ან დამტკიცებისათვის;
 - ბ) აანალიზებს და აფასებს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურობას ცალკეული პროგრამის ფარგლებში, გამოიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
 - გ) აანალიზებს და აფასებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო მუშაობას, სწავლობს დადებით გამოცდილებას, ხელს უწყობს მის განზოგადებას და გავრცელებას;
 - დ) აანალიზებს პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა სასწავლო-დამხმარე პერსონალის საქმიანობას. ამის გათვალისწინებით ქმნის და განახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნობრივ პროგრამებს;
 - ე) კოორდინაციას უწევს და სტუდენტთა მიერ ცალკეული დისციპლინის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობის ეფექტურობის შეფასებას ანა-

- ლიზებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ვ) აანალიზებს და აფასებს სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და მათი მიღწევების მდგომარეობას, გამოიმუშავებს რეკომენდაციებს მათი ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერისათვის;
- ზ) შეისწავლის და აფასებს უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევითი რესურსების მდგომარეობას და გამოიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

6. შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების ინდიკატორებს და სტანდარტებს;
7. აანალიზებს და აფასებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
8. ორგანიზაციას უწევს სკოლების მუშაობის შეფასებას – აკრედიტაციისათვის ვითმეფასების მომზადებას;
9. დახმარებას უწევს სკოლებს ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადებაში.

მუხლი 75. პასუხისმგებლობა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უშუალოდ არის პასუხისმგებელი უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სტანდარტის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 76. ხარისხის უზრუნველყოფა სკოლებში

1. სკოლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგენს ხარისხის მართვის ოფისი და კოლეგიალური ორგანო – ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი განისაზღვრება ამ წესდების 24-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით.
2. კომიტეტის შემადგენლობას და ოფისის ხელმძღვანელს, დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს რექტორი. ამ უკანასკნელს შეიძლება შეეთავსოს ჩთშ კოორდინატორის ფუნქცია.
3. ოფისის ხელმძღვანელისათვის არ არის აუცილებელი დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი.
4. ოფისი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის მართვის ცენტრის წინაშე.

მუხლი 77. ოფისის უფლებამოსილება

1. მონიტორინგს უწევს აკადემიური და კვლევითი პროგრამების განხორციელებას, ატარებს მათ სისტემურ ანალიზს, შეფასებას.
2. ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა მიერ ცალკეული დისციპლინის და დისციპლინის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობის ეფექტურობის შეფასებას.

3. განახორციელებს მონიტორინგს და აანალიზებს სტუდენტთა სწავლის შედეგებს, შეფასების შესაბამისობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.
4. დეკანს და აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის მართვის ცენტრს წარუდგენს ყველა ანალიტიკურ ინფორმაციას აკადემიური პროგრამების განხორციელებისა და სტუდენტთა აკადემიური განვითარების შესახებ.
5. ორგანიზაციას უწევს სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა სასწავლო პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩაბმას. ანალიზებს ამ პროცესს, ხოლო შედეგებს წარუდგენს სკოლის დეკანს და აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის მართვის ცენტრს.

მუხლი 78. აკადემიური და პროფესიული პროგრამის კომიტეტი

1. აკადემიური და პროფესიული პროგრამების კომიტეტები (შემდგომში კომიტეტი) ყალიბდება სკოლებში და წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს ხარისხის მართვის საერთო სისტემაში. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
2. სკოლის აკადემიური და პროფესიული პროგრამების კომიტეტი აერთიანებს პროგრამაში შემავალი ყველა დისციპლინის ხელმძღვანელს, რაც სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევისათვის ეფექტურ სტრუქტურას ქმნის. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
3. აკადემიურ/პროფესიულ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი. (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
4. პროგრამის კომიტეტს პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის მართვასა და განხორციელების ხარისხზე.
5. პროგრამის კომიტეტის უფლებამოსილება განისაზღვრება ცალკე დებულებით.

თავი VIII. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

მუხლი 79. სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი

1. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის იქმნება სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი (შემდგომში ცენტრი), რომლის აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირია – დირექტორი, ხოლო კოლეგიალური ორგანოა მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტი.

მუხლი 80. დირექტორი

1. სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელიც, ამავე დროს, შეიძლება იყოს მეცნიერული კვლევის და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე. იგი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

2. ცენტრის დირექტორს ნიშნავს რექტორი.
3. ცენტრის დირექტორი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი.
4. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 81. ცენტრის უფლებამოსილება

1. ცენტრი ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას, რისთვისაც განახორციელებს აქტივობას მისთვის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 82. კვლევითი ორგანიზაციები

1. ცენტრი აერთიანებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, ლაბორატორიებს და სხვა კვლევით რგოლებს.
2. შესაძლებელია კვლევითი ორგანიზაციის დაფუძნება ცალკე იურიდიულ პირად სხვა, მათ შორის, უცხოეთის ფიზიკური ან იურიდიული პირების თანამონაწილეობით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. კვლევითი ორგანიზაციების შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, სამეცნიერო კვლევების ცენტრის წარდგინებით. საკითხი თანხმდება უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საბჭოსთან.
4. კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისი დებულებით, ძირითადად, აწარმოებენ საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებულ, გამოყენებითი ხასიათის კვლევებს ცალკეული დარგების მიხედვით, რაც არ გამოირიცხავს, ფუნდამენტური კვლევების განხორციელების შესაძლებლობას.
5. კვლევითი ორგანიზაციების მიზანია:
 - ა) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევების განვითარებას და ტექნოლოგიური და სერვისული ინოვაციების გენერირების გლობალურ პროცესში ინტეგრირებას;
 - ბ) დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სწავლა-სწავლების ეფექტურობის ამაღლებაში, ლოკალური კვლევების ჩატარებასა თუ საკვალიფიკაციო ნაშრომების შესრულებაში.
6. კვლევითი ორგანიზაციები ანგარიშვალდებული არიან უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის, აგრეთვე, დეკანის წინაშე, თუ ისინი შედიან ფაკულტეტის შემადგენლობაში.

მუხლი 83. კვლევა და ფინანსები

1. აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთი ფორმირდება როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო დატვირთვის გათვალისწინებით.
2. კვლევითი პროექტების დაფინანსება წყდება კონკურსის საფუძველზე.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.
4. პროექტში, უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებთან ერთად, შეიძლება მონაწილეობდნენ გარეშე პირები და ორგანიზაციები.
5. პროექტების დაფინანსების წყაროა უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი და სხვა,მათ შორის, უცხოური ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები.

მუხლი 84. მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტი.

1. მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტი. (შემდგომში კომიტეტი) არის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის კოლეგიალური ორგანო რომელიც აყალიბებს კვლევით პროგრამებს დამოუკიდებლად და/ან უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული რგოლებიდან მიღებული წინადადებების საფუძველზე.
2. კომიტეტი ყოველ წელს აქვეყნებს კვლევით პროგრამებს და აცხადებს კონკურსს საუკეთესო პროექტების გამოსავლენად და დაფინანსებისათვის.
3. დაფინანსებისათვის ძირითადი კრიტერიუმია პროექტის აქტუალობა და დამტკიცებულ პროგრამათა მოთხოვნებთან შესაბამისობა.
4. კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება ის პროექტებიც,რომელთა პრობლემატიკას არ ითვალისწინებს საკონკურსო პროგრამა. აქტუალობის შემთხვევაში მათი დაფინანსება დასაშვებია.
5. პროექტი შეიძლება წარადგინონ სტუდენტებმაც როგორც ინდივიდუალური წესით, ისე ჯგუფურად. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით პრეტენდენტთა შორის.

მუხლი 85. მართვა

1. კომიტეტის რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.
2. კომიტეტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
3. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორები,რომლებიც შეიძლება იყვნენ, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ისე გარეშე პირები.
4. კომიტეტი უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის განხილვის დროს მოიწვიოს ექსპერტები.
5. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.
6. კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რექტორთან.

თავი IX. გარდამავალი დებულებები

მუხლი 86. დამატებითი პროგრამის არჩევა

1. ამ წესდების 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამოქმედებისათვის შეიქმნას მარეგულირებელი დოკუმენტი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს
2. მოთხოვნათა ფარგლებში, 2011 წლის 1 აპრილამდე.

მუხლი 87. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ამოქმედება

1. ამ წესდების 21. 7-ე მუხლის ამოქმედებისათვის შემუშავებულ იქნას დოქტორანტურისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებები 2012 წლის 30 სექტემბრამდე (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის ამოქმედებამდე ძალაში დარჩეს მოქმედი დებულებები.

მუხლი 88. აკადემიური კომიტეტის შექმნა

1. ამ წესდების მე-16 მუხლი ამოქმედდეს 2011 წლის 1 მაისიდან.

თავი X. დასკვნითი დებულებები

მუხლი 89. წესდების ახალი რედაქციის ძალაში შესვლა

1. წესდება, ახალი რედაქციით, ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 10 მაისის № 11/18 გადაწყვეტილება “გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ”.
3. ყველა სამართლებრივი აქტი და უნივერსიტეტის ორგანიზაციული მოწყობა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ წესდებით დადგენილ ნორმებთან 2012 წლის 30 სექტემბრამდე (რექტორის ბრძანება № 01-05/106 13.12/2011)

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

მამუკა თავხელიძე
თბილისი,

2011 წლის 24 იანვარი

რეგისტრაციის № 01-05/005

უნივერსიტეტის წესდებაში “საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების შესახებ”
განხორციელებული ცვლილებები:

1. ბრძანება №01-05/106 13.12.2011

“უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 24 იანვრის 01-05/005 განკარგულებით
დამტკიცებულ უნივერსიტეტის წესდებაში - „საგანმანათლებლო საქმიანობის
რეგულირების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

2. ბრძანება №01-05/53 14.11.2013

უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 24 იანვრის 01-05/005 განკარგულებით
დამტკიცებულ უნივერსიტეტის წესდებაში - „საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების
შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე